სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
NATIONAL FORENSICS BUREAU

ექსპერტის დასკვნა
FORENSICS REPORT



თბილისი, 0162, ი. ჭავჭავაძის გამზ. 84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის გამზ. 2ა

84 Chavchavadze Ave., Tbilisi 0162
2a I. Chavchavadze Ave., Kutaisi 4600

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
NATIONAL FORENSICS BUREAU

№ 5003717724

21/06/2024

5003717724

შპს თორი-ს დირექტორს ბატონ გიორგი კოღუაშვილს

(თბილისი, საბურთალოს რაიონი, დიდი დიღომი, ი. პეტრიწის ქ., N1, ბ. 147)

ბატონო გიორგი,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი მომართვის (ბიუროს 2024 წლის 14 ივნისის რეგისტრაციის N1004650224) საფუძველზე, გიგზავნით N004188024 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 06 ფურცლად;

პატივისცემით,

მამუკა ჯანგულაშვილი,
ბიუროს უფროსი

5003717724

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ,
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი _____

თარიღი 04.07.2024 (ხელმოწერა) ბ.ა



004188024

ექსპერტის დასკვნა № 004188024

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის ძიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 68-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა:

დამნიშნავი:

ორგანიზაცია: შპს თორი

თანამდებობა: დირექტორი

მისამართი: თბილისი, საბურთალოს რაიონი, დიდი დიღომი, ი. პეტრიწის ქ., N1, ბ. 147

სახელი და გვარი: გიორგი კოღუაშვილი

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები:

ვახტანგ ძერია / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს საინჟინრო ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 2 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ ჩაატაროთ ექსპერტიზა და დაადგინოთ, უძრავი ქონების მდებარე მისამართზე აღმაშენებლის ხეივანი 66ბ. საკადასტრო კოდით № 01.72.14.034.968 გამიჯვნა წარმოდგენილი გამიჯვნის ნახაზის მიხედვით საფრთხეს ხომ არ შეუქმნის შენობა ნაგებობის კონსტრუქციულ სიმტკიცს, მდგრადობას, საიმედოობას, სეისმომედეგობას და ცეცხლმედეგობას.

შემოსვლის თარიღი: 14/06/2024 წ

გასვლის თარიღი: 21/06/2024 წ

დასკვნა

ქ. თბილისში, აღმაშენებლის ხეივანი 66ბ-ში, №01.72.14.034.968.01.05.001 საკადასტრო კოდით რეგისტირებული უძრავი ქონების წარმოდგენილი გამიჯვნის გეგმის მიხედვით გამიჯვნით საფრთხე არ შექმნია შენობა-ნაგებობის კონსტრუქციულ სიმტკიცეს, მდგრადობას, საიმედოობას, სეისმომედეგობას და ცეცხლმედეგობას. (იხ. გამოკვლევა, ფოტოილუსტრაცია და დანართი №1).

ვახტანგ ძერია

გამოკვლევა

განცხადების თანახმად დასადგენია ქ. თბილისში, აღმაშენებლის ხეივანი 66ბ-ში მდებარე, № 01.72.14.034.968.01.05.001 საკადასტრო კოდით რეგისტირებული უძრავი ქონების, ექსპერტიზაზე წარმოდგენილი გამიჯვნის გეგმის მიხედვით გამიჯვნით, საფრთხე ხომ არ შეექმნება შენობა-ნაგებობის კონსტრუქციულ სიმტკიცეს, მდგრადობას, საიმედოობას,

004188024

ექსპერტის დასკვნა № 004188024

ეისმომედეგობას და ცეცხლმედეგობას.

ექსპერტიზა კვლევას აწარმოებს წარმოდგენილი ნახაზისა და დამკვეთის მიერ მითითებულ უძრავი ქონებაში ადგილზე არსებული მდგომარეობის შესწავლისა და ურთიერთშედარების შედეგად გამოვლენილ განსახორციელებელ სამუშაოებზე. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტიზაზე წარმოდგენილია №01.72.14.034.968.01.05.001 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების გამიჯვნის გეგმა (იხ. დანართი №1), რომლის მიხედვით უძრავი ქონება იყოფა ორ ნაწილად 212.62 მ² და 167.48 მ² ფართებად.

ექსპერტიზის წინაშე დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემის მიზნით, ჩემ მიერ ადგილზე ვიზუალურად შესწავლილ იქნა განმცხადებლის მიერ მითითებული №01.72.14.034.968.01.05.001 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება, რომელიც განთავსებულია მონოლითური რკინა-ბეტონის კარკასული ტიპის მზიდი ელემენტებისაგან (რიგელი, სვეტი, კოლონა, ფილა) შემდგარ მრავალბინიან შენობაში.

ექსპერტიზაზე წარმოდგენილ გამიჯვნის გეგმაში არსებული მგომარეობის ფაქტობრივ მდგომარეობასთან შედარებით დადგინდა, რომ რიგ ადგილებში შეინიშნება უზუსტობა, კერძოდ ნახაზში ნაჩვენებ ოთახებს შორის გამყოფი ტიხარები ფაქტობრივად არის დემონტირებული (იხ. დანართი №1). დემონტირებული ტიხრები წარმოადგენს შენობის არამზიდ კონსტრუქციებს, შესაბამისად აღნიშნული ტიხრების დემონტაჟი საფრთხეს არ შეუქმნის შენობის მდგრადობას. სხვა ფაქტობრივი მდგომარეობები შეესაბამება გამიჯვნის გეგმას და უძრავი ქონება გამიჯნულია ორ ნაწილად, გამიჯნულ ფართებს შორის არსებობს დამოუკიდებელი შესასვლელები (იხ. ფოტოილუსტრაცია).

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი მასალის, ფაქტობრივად არსებული მდგომარეობის, შესწავლისა და ურთიერთშედარების შედეგად დადგინდა შემდეგი:

ქ. თბილისში, აღმაშენებლის ხეივანი 66ბ-ში, №01.72.14.034.968.01.05.001 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების წარმოდგენილი გამიჯვნის გეგმის მიხედვით გამიჯვნით საფრთხე არ შექმნია შენობა-ნაგებობის კონსტრუქციულ სიმტკიცეს, მდგრადობას, საიმედოობას, სეისმომედეგობას და ცეცხლმედეგობას.

ვახტანგ ძერია

გამოყენებული მასალები

განცხადება.

უძრავი ქონების გამიჯვნის გეგმა.

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: კახაბერ კახელი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია

004188024

ექსპერტის დასკვნა № 004188024

ფოტოილუსტრაცია



ფოტო 1



ფოტო 2



ფოტო 3



ფოტო 4



ფოტო 5



ფოტო 6



ფოტო 7



ფოტო 8



ფოტო 9



ფოტო 10



ფოტო 11



ფოტო 12

004188024



ფოტო 13



ფოტო 14

II-სართულის გეგმა

ს.კ: №01.72.14.034.968.01.05.001 სართული 2 ოფისი №1-ის გამიჯვნის ნახაზი



1. ფართი: 212.62 კვ.მ
2. ფართი: 167.48 კვ.მ

მთლიანი ფართი: 380.10 კვ.მ

შპს." ექსლაინი ".

მისამართი: ქ.თბილისი,
დავით აღმაშენებლის ხეივანი №66ა.

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

